ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №444589

ნომერი: AR191656

თარიღი : 12.11.2012

გაცემის თარიღი : 22.11.2012

გაცნობის თარიღი : 22.11.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გობრონიძის , N 18 ;

თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. III კვ. კორ. 19 ბ. 15

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო აბსანძე პ/ნ 01009014528

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

არქიტექტურის სამსახური გაეცნო თქვენს განცხადებას და დანართში წარმოდგენილ ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს გადაწყვეტილებას თქვენს განცხადებაზე QN183146, რომლის პასუხადაც გაცნობებთ, რომ ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებელია ავტოსადგომის მოწყობა, ისე როგორც წარმოდგენილია დანართში ატვირთულ გენგეგმაზე > მოცემულ ტერიტორიაზე შენარჩუნებული უნდა იქნეს როგორც ქვეითთა სავალი ნაწილი (ტროტუარი) ასევე გამწვანება; მანქანების ავტოსადგომზე შესვლა უნდა განხორციელდეს არა გობრონიძის ქუჩის მხრიდან, არამედ მშენებარე ობიექტსა და არსებულ გამწვანებასა და ტროტუარს შორის, დასავლეთის მხრიდან.

აგრეთვე, ვინაიდან მოცემული ტერიტორია დაურეგისტრირებელია, საჭროა იქნება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა მიწის ნაკვეთის განკარგვასთან დაკავშირებით და აგრეთვე, ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის თანხმობა ავტოსადგომის მოწყობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ ტერიტორიაზე განთავსდება საგზაო ნიშნები, მაშინ უნდა მიმართოთ პოლიციის დეპარტამენტის მოძრაობის ორგანიზაციის განყოფილებას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.